სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/78

ქ. თბილისი

22 მარტი 2019

„სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“ ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ და მე-10 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს რედაქციით:

   „16. პირი, რომელსაც ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული წესით გაუგრძელდა სტუდენტის სტატუსი ან მე-14 პუნქტით განსაზღვრული წესით აღუდგა სტუდენტის სტატუსი, ვალდებულია აკადემიური დავალიანება დაფაროს უახლოეს დამატებით სემესტრში/სემესტრებში. ამისთვის ფაკულტეტის დეკანატი ვალდებულია, გასავლელი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობების დაცვით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (სასწავლო წელს – არაუმეტეს 75 კრედიტისა), მისთვის შეადგინოს დარჩენილი საგნების გავლის ოპტიმალური გრაფიკი;

შესაბამისად, სტუდენტს განესაზღვრება მინიმალური რაოდენობის დამატებითი სემესტრები და ამ სემესტრებში გასავლელი საგნების ნუსხა (კრედიტების რაოდენობა). დეკანატი შეადგენს აგრეთვე შესაბამისი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების პროექტებს. შესაბამის ბრძანებაში მიეთითება აგრეთვე სწავლების სემესტრების რიგითი ნომრები. დამატებით სემესტრებში სასწავლო კურსის გავლა შეიძლება, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ. აღნიშნული არ ვრცელდება იმ სასწავლო კურსებზე, რომლებიც პროგრამაში შევიდა მოდიფიცირების შედეგად. ასეთი სასწავლო კურსის დამატებით სემესტრებში გავლა შეიძლება, როგორც წესი, მხოლოდ ორჯერ.“

2. ნაწილობრივ შეიცვალოს „სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ და დაემატოს მე-10 მუხლის მე-6^1 და მე-6^2 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

   „6^1. სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამაში შევიდა მოდიფიცირების შედეგად, სტუდენტმა უნდა გაიაროს შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე; აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით გავლა შეიძლება ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ.“

   „6^2. სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტის სასწავლო გეგმაში შევიდა პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით განხორციელებული შიდა მობილობის შედეგად, სტუდენტმა ერთხელ უნდა გაიაროს შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე; აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით გავლა შეიძლება ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ.“

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**